



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

ს ა ბ ა კ ა ლ ა ვ რ ო
საგანმანათლებლო პროგრამა

ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია

ქუთაისი
2016



კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	<i>მედიცინის ფაკულტეტი</i>
პროგრამის დასახელება	<i>საბაკალავრო პროგრამა - ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია</i>
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	<i>ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი Bachelor of Physical Medicine and Rehabilitation</i>
პროგრამის ხელმძღვანელები	<i>თამარ ვალიშვილი – მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; მარინა შავიანიძე – მედიცინის დოქტორი</i>
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	<i>ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 4 აკადემიური წლით, ითვალისწინებს 240 კრედიტის დაგროვებას (1 კრედიტი - 25 სთ.). კურიკულუმი აგებულია 8 სემესტრზე (15–15 სასწავლო კვირა). მაქსიმალური კვირეული დატვირთვა საშუალოდ - 21 სთ. კრედიტების სემესტრული რაოდენობა - 30</i>
სწავლების ენა	<i>ქართული ენა</i>
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	<i>პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 24.02.2016 წ (ოქმი N 6, დადგენილება 30 (15/16), 24.02.2016)</i>
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	<i>ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლების მქონე და შესაბამისი დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელი პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის დოკუმენტს. შენიშვნა: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საჭიროა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით განსაზღვრული ექვივალენტური დოკუმენტის არსებობა.</i>
პროგრამის მიზნები	<i>პროგრამის მიზანია - მოამზადოს შედეგზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნების, შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი, რომელსაც შესწავლილი ექნება:</i> <ul style="list-style-type: none"> • საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების საფუძვლები; • სამედიცინო რეაბილიტაციის პრინციპები, ვადები, ჩვენებები და უკუჩვენებები; • მოსალოდნელი გართულებები და რეაბილიტაციის თანამედროვე სტრატეგიები; • სამედიცინო რეაბილიტაციის ფორმები, მეთოდები და ცალკეული მეთოდოლოგიები; • ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესების ძირითადი კანონზომიერებები; • ორგანიზმის ადაპტაციური შესაძლებლობების დინამიური შეფასებისა და კორექციის მეშვეობით მისი აღდგენისა და გაძლიერების საშუალებები; • სხვადასხვა დაავადებების სამკურნალო-რეაბილიტაციური ღონისძიებების ჩატარება; • ადამიანის ორგანიზმის ფუნქციური რეზერვების აღდგენის ან დაკარგული ფუნქციის კომპენსაციის, მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლებისაკენ მიმართული ოპტიმალური, ინდივიდუალური პროგრამების ფორმირების სტრატეგია. <i>კურსდამთავრებულს ასევე ექნება:</i> <ul style="list-style-type: none"> • მისი კომპეტენციის შესაბამისი კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; • კონკრეტული ამოცანის დასმის და მისი გადაწყვეტის უნარი; • მორალური ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებისა და დაცვის უნარი; • ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავების უნარი, დაავადებათა პროფილაქტიკისა და გართულებების თავიდან ასაცილებლად;

	<ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკული რეკომენდაციების რელევანტურად გამოიყენების უნარი; • ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობის შეფასების უნარი დატვირთვებისა და დასვენების პერიოდში; • სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვის უნარი.
სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)	
ცოდნა და გაცნობიერება	<p>კურსდამთავრებულს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე თეორიები, პრინციპები, მეთოდები და საშუალებები; • ადამიანის ორგანიზმისა და მისი შემადგენელი ელემენტების ანატომიური, ფიზიოლოგიური თავისებურებები; • ადამიანის პათოლოგიური პროცესების ეთიოლოგია და პათოგენეზი; • ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესები; • ფიზიკურ ვარჯიშებთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ფაქტორები და მათი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე; • ტრავმატოლოგიის ძირითადი ცნებები, ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და დაზიანებისას პირველადი დახმარება; • ზოგადი ჰიგიენის ნორმები და მოთხოვნები; • მოძრაობის კინემატიკა და ცალკეული მოძრაობების ანალიზი; • ფიზიოთერაპიის სახეები და თავისებურებები; • მასაჟის ფორმები და სახეები, ორგანიზმზე მასაჟის მექანიზმის ზემოქმედება; • კინეზოთერაპია, კლასიფიკაცია და ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური ვარჯიშის კლინიკური და ფიზიოლოგიური მნიშვნელობა; • ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და დატვირთვების ინდივიდუალური გეგმის შედგენა; • დიაგნოსტიკური, პრევენციული და აღდგენითი-სამკურნალო ტექნოლოგიების ცოდნა; • გაცნობიერებული აქვს ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესების კანონზომიერებები, მისი აღდგენისა და გაძლიერების შესაძლებლობები; • აქვს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა; • აცნობიერებს კომპლექსური კლინიკური პრობლემების გადაჭრის გზებს;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>კურსდამთავრებულს აქვს უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> • შეიმუშავოს ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამები ექიმთან შეთანხმებით; • განსაზღვროს სარეაბილიტაციო ღონისძიებები და წარმატებით განახორციელოს დასახული პროგრამა; • შეაფასოს პაციენტთა ფუნქციური მდგომარეობა და რეაბილიტაციური პოტენციალი; • დამოუკიდებლად ჩაატაროს სამედიცინო რეაბილიტაციის პროცედურები: კინეზოთერაპია, მასაჟი; • შეუძლია სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება;
დასკვნის უნარი	<ul style="list-style-type: none"> • გააჩნია ღრმა კლინიკური აზროვნება, • შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, • აქვს მიღებული ცოდნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და პრაქტიკაში დანერგვის უნარი. • შეუძლია რისკის იდენტიფიცირების საფუძველზე პაციენტის დახმარების სტრატეგიის შესახებ დასკვნის გაკეთება; • შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება;
კომუნიკაციის უნარი	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ვერბალური ფორმით საკუთარი აზრების და შეხედულებების ჩამოყალიბება, დიალოგის წარმართვა ქართულ და უცხოურ ენაზე კოლეგებთან და პაციენტებთან, მათ შორის თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. • შეუძლია კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღების მიზნით; • აქვს ჯგუფში/გუნდში მუშაობის, სუბორდინაციის და ადაპტაციის, დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის უნარი. გააჩნია ასევე არავერბალური კომუნიკაციის უნარი;

	<ul style="list-style-type: none"> განვითარებული აქვს კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.
სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, ლიტერატურის გამოყენებით დამოუკიდებლად ცოდნის ამბლლება და შემდგომი სწავლის დაგეგმვა; აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი; შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკული შეფასება. აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას; აქვს საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი; <p>კვლევის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> გამომუშავებული აქვს ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის უნარი, პრობლემური საკითხების იდენტიფიკაციისა და ფართო კონტექსტთან მათი დაკავშირების, კვლევით მოპოვებული მასალის ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები და ფორმალური პროფესიული წერილობითი ენა; იცნობს კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპებს.
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> აქვს მედიცინის კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა; შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან; კულტურასთან, სქესთან, რელიგიასთან და ჯანმრთელობის რისკთან ასოცირებული ეთიკური ასპექტების, ცრურწმენების და ტაბუსთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი დამოკიდებულება; პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პატივს სცემს მათ არჩევანს, აღიარებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ავტონომიას.
სწავლების მეთოდები	<ul style="list-style-type: none"> ვერბალური მეთოდი (ინტერაქტიული და მოდიფიცირებული ლექციები); პრაქტიკული მეთოდი (პრაქტიკული მეცადინეობები რეფლექციით), ლაბორატორიული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, ლიტერატურის დამუშავება; კვლევაში მონაწილეობის მიღება; რეფერატის/პრეზენტაციის მომზადება/წარდგენა; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) შემთხვევის ანალიზი (case study) როლური (პაციენტის და ექიმის როლების თამაში) თამაშები, სიტუაციური ამოცანები; სიმულაცია (კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება სიმულატორების და მულაჟების გამოყენებით); კლინიკურ გარემოში სწავლება; კლინიკური პრაქტიკა; გამოცდილებით (experiential) სწავლება;
პროგრამის სტრუქტურა	<p>პროგრამის აქტუალობა -</p> <p>მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით - “ჯანმრთელობა არა მხოლოდ ფიზიკური დეფექტების ან დაავადებების არარსებობაა, არამედ სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობაა”.</p> <p>პოპულაციის ჯანმრთელობის თემა უმნიშვნელოვანესია, შესაბამისად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ პროფესიონალთა მომზადებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანდაცვის სფეროსთან ასოცირებული პრობლემების გადაწყვეტას.</p> <p>ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია ჯანდაცვის სფეროს უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომელიც ეხება ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებას და გაუმჯობესებას.</p> <p>ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალისტების მრავალმხრივი მომზადების დონე განსაზღვრავს მათ ადგილს ოპტიმალურ შედეგზე ორიენტირებულ მულტიდისციპლინურ სამედიცინო</p>

	<p>გუნდში. წინამდებარე პროგრამა ქმნის შესაბამისი უნარებით აღჭურვილი, ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების საფუძველს, რომლებიც შეძლებენ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, წარმატებულ პრაქტიკულ საქმიანობას.</p> <p>პროგრამა მიმართულია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლების შედეგების გამოუმუშავებაზე; ითვალისწინებს საბაზისო საბუნებისმეტყველო, ქვევითი და სოციალური, კლინიკური მეცნიერებების, წამლებისა და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნას, ასევე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და ამ სისტემაში ბაკალავრ-რეაბილიტოლოგის როლის, ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპების გაცნობიერებას.</p> <p>პროგრამის ხანგრძლივობა - 4 წელია, მოცულობა - 240 კრედიტი, მოიცავს 8 სემესტრს. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს. ჯამში საათების რაოდენობა შეადგენს 6000 სთ-ს.</p> <p>პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა შესაბამისობაშია „საქართველოს კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ“, ასევე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გადაანგარიშების წესთან“;</p> <p>პროგრამაში სპეციალური საგნები ინტეგრირებულია კლინიკურ დისციპლინებთან. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკულ კომპონენტს (გათვალისწინებულია პრაქტიკის 2 კურსი 12 კრედიტის მოცულობით (სულ 300 საათი).</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №785 (05.01.2007) და №3 (21.09.2009) ბრძანებებით და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სამსახურის გადაწყვეტილებებით განსაზღვრული პრინციპებით.</p> <p>სტუდენტის საბოლოო შეფასებების მიღება ხდება სემესტრის მანძილზე მიღებული შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51. დასკვნით გამოცდაზე 15 ქულაზე ნაკლები შეფასების მქონე სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, შეფასდეს FX-ით (ვერ ჩააბარა), თუ მის მიერ ყველა კომპონენტში მოპოვებულ ქულათა ჯამი არანაკლებ 41-ია და F-ით (ჩაიჭრა), თუ აღნიშნული მაჩვენებელი არაუმეტეს 40-ია.</p> <p>შეფასების სისტემა ითვალისწინებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%; ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%; ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.</p> <p>ცალკეულ კურსებში შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამისი კურსის სილაბუსით.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრს შეუძლია დაიკავოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო დაწესებულების ზოგადი რეაბილიტოლოგის თანამდებობა; • გამაჯანსაღებელი დაწესებულების ზოგადი რეაბილიტოლოგის თანამდებობა; • სპორტული გუნდების ზოგადი რეაბილიტოლოგის თანამდებობა; • პროფილურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამდებობა. <p>ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.</p>
<p>სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები / რესურსები</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კომპეტენციის ადგილობრივი და მოწვეული პედაგოგები.</p> <p>სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის სასწავლო და სალექციო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კაბინეტი (კლასი), რაც სტუდენტებს აძლევს ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ფოსტა, რომლის მეშვეობით ისინი მჭიდრო კავშირში არიან აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან. კლინიკური დისციპლინების სწავლება მიმდინარეობს შესაბამის კლინიკურ ბაზებზე, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.</p>

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 მედიცინის ფაკულტეტი
 ფიზიკური რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა
 პროგრამის სტრუქტურა
 2016-2017 სასწავლო წელი

(I –IV სემესტრი)																	
№	კურსი	სკ	ლ/პრ/ს/ლ აბ	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა				სემესტრები								წინაპი რობა
					სულ	საკონტ. აუდიტ.	საკონტ. საგამოც	დამოუკიდ.	I	II	III	IV	V	VI	VI I	VI II	
1	სამედიცინო ეთიკა	2	1/1/0/0	3	75	30	3	42	3								
2	ბიოფიზიკა	3	1/2/0/0	4	100	45	3	52	4								
3	ადამიანის ანატომია 1	4	1/3/0/0	6	150	60	3	87	6								
4	ადამიანის ფიზიოლოგია 1	4	1/3/0/0	6	150	60	3	87	6								
5	სამედიცინო ტერმინოლოგია	1	0/1/0/0	3	75	15	3	57	3								
6	უცხო ენა - 1	4	0/4/0/0	5	125	60	4	61	5								
7	არჩევითი კურსი 1	2	1/1/0/0	3	75	30	3	42	3								
		20		30	750	300		428	30								
პროგრამის არჩევითი კურსი 1																	

	არჩევითი კურსი - 1	2	0/2/0/0	3	75	30	3	42	3								
7.1.	მედიცინა და ინტერნეტი																
7.2.	მედიცინის ისტორია																
8	ადამიანის ანატომია 2	3	1/2/0/0	5	125	45	3	77		5							3
9	ადამიანის ფიზიოლოგია 2	3	1/2/0/0	5	125	45	3	77		5							4
10	უცხო ენა –2	3	0/4/0/0	5	125	60	4	61		5							6
11	სამედიცინო ფსიქოლოგია	3	1/2/0/0	4	100	45	3	52		4							
12	პირველადი სამედიცინო დახმარება	3	1/2/0/0	4	100	45	3	52		4							
13	პაციენტის უფლებები	2	1/1/0/0	3	75	30	3	42		3							
14	ზოგადი ბიოქიმია	3	1/0/2/0	4	100	45	3	52		4							
		20		30	750	315		413		30							
15	ადამიანის ანატომია 3	4	1/3/0/0	6	150	60	3	87			6						8
16	ადამიანის ფიზიოლოგია 3	4	1/3/0/0	6	150	60	3	87			6						9
17	უცხო ენა – 3	4	0/4/0/0	5	125	60	4	61			5						10
18	ზოგადი ჰიგიენა	3	1/2/0/0	4	100	45	3	52			4						
19	ზოგადი მასაჟის საფუძვლები	4	1/3/0/0	6	150	60	3	87			6						
20	არჩევითი კურსი 2	2	1/1/0/0	3	75	30	3	42			3						
		21		30	750	315		416			30						
პროგრამის არჩევითი კურსი 2																	
	არჩევითი კურსი - 2	2	1/1/0/0	3	75	30	3	42	3								
20.1	დეონტოლოგია																
20.2	ლაბორატორიული დიაგნოსტიკა																
21	დინამიკური ანატომია	3	1/2/0/0	5	125	45	3	77			5						15
22	ბიომექანიკა და კინეზიოლოგია	3	1/2/0/0	5	125	45	3	77			5						

23	დატვირთვის ფიზიოლოგიური ბიოქიმია	3	1/1/1/0	5	125	45	3	77				5					14
24	პათოლოგიური ფიზიოლოგია 1	3	1/2/0/0	5	125	45	3	77				5					16
25	ფარმაკოლოგია	3	1/2/0/0	5	125	45	3	77				5					16
26	საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი	3	1/2/0/0	5	125	45	3	77				5					
		18		30	750	270		462				30					
27	პათოლოგიური ფიზიოლოგია 2	3	1/2/0/0	4	100	45	3	52					4				24
28	შინაგანი დაავადებები	3	1/2/0/0	4	100	45	3	52					4				
29	ქირურგია	3	1/2/0/0	4	100	45	3	52					4				
30	ნერვული დაავადებები 1	3	1/2/0/0	4	100	45	3	52					4				
31	ალერგოლოგია	2	1/2/0/0	4	100	45	3	52					4				
32	პალიატიური მზრუნველობა	3	1/2/0/0	4	100	45	3	52					4				
33	სამკურნალო მასაჟი	4	1/3/0/0	6	150	60	3	87					6				19
		21		30	750	330		399					30				
34	სპორტული მედიცინა	3	1/2/0/0	4	100	45	3	52						4			
35	რენტგენოლოგია	2	1/1/0/0	3	75	30	3	42						3			15
36	ნერვული დაავადებები 2 (ბავშვთა ნევროლოგია)	2	1/1/0/0	3	75	30	3	42						3			30
37	ტრავმატოლოგია, ორტოპედია 1	2	1/1/0/0	3	75	30	3	42						3			
38	რევმატოლოგია	2	1/1/0/0	3	75	30	3	42						3			
39	სპორტული მასაჟი	3	1/2/0/0	4	100	45	3	52						4			33
40	კურორტოლოგია	3	1/2/0/0	4	100	45	3	52						4			
41	პრაქტიკა 1			6	150	147	3	0						6			
		17		30	750	402		324						30			
42	გერიატრია	2	1/1/0/0	3	75	30	3	42							3		

43	ტრავმატოლოგია, ორტოპედია 2	3	1/2/0/0	5	125	45	3	77							5		37
44	პედიატრია	3	1/2/0/0	4	100	45	3	52							4		
45	მეანობა გინეკოლოგია	2	1/2/0/0	3	75	30	3	42							3		29
46	ფიზიკური რეაბილიტაცია 1	6	1/5/0/0	9	225	90	3	132							9		41
47	ტკივილის მართვა	2	1/1/0/0	3	75	30	3	42							3		
48	არჩევითი კურსი 3	2	1/1/0/0	3	75	30	3	42							3		
		20		30	750	300		429							30		

პროგრამის არჩევითი კურსი 3																	
	არჩევითი კურსი - 3	2	1/1/0/0	3	75	30	3	42	3								
48.1	იმუნოლოგია																
48.2	ონკოლოგია																
49	ფიზიკური რეაბილიტაცია 2	6	1/5/0/0	9	225	90	3	132							9		46
50	პრაქტიკა 2			6	150	147	3								6		41
51	ფიზიოთერაპია	3	1/2/0/0	4	100	45	3	52							4		
52	დამხმარე საშუალებები რეაბილიტაციაში	3	1/2/0/0	4	100	45	3	52							4		46
53	სპა და ბალნეოთერაპია	3	1/2/0/0	4	100	45	3	52							4		
54	არჩევითი კურსი -4	2	1/1/0/0	3	75	30	3	42							3		
		17		30	750	402		330			0				30		
პროგრამის არჩევითი კურსი 4																	
	არჩევითი კურსი - 4	2	1/1/0/0	3	75	30	3	42	3								
54.1	დერმატოვენეროლოგია																

54.2	ოტორინოლარინგოლოგია																	
------	---------------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

